

მსოფლიო მართლმადიდებლობის თვითმარქვია კოორდინატორი

მსოფლიო პატრიარქი ბართლომე მის მიერ კონსტანტინოპოლში მოწვეულ კრებაზე გამოვიდა მოხსენებით და, კერძოდ, აღნიშნა, რომ იგი, როგორც მსოფლიო პატრიარქი, კანონიკური წესის თანახმად, არის მსოფლიო მართლმადიდებლობის ყველა ადგილობრივი ეკლესიის კოორდინატორი და ამიტომ ყველა ძალ-ღონეს იხმარს, რათა სასწრაფოდ იქნას მოწვეული მსოფლიო კრება. მან ასევე აღნიშნა, რომ მსოფლიო კრების მოწვევა გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება და რომ ადგილობრივმა ავტოკეფალურმა ეკლესიებმა უნდა დათმონ თავიანთი ვიწრო ნაციონალური ინტერესები მთელი მართლმადიდებლობის სასიკეთოდ (იხ. საიტზე).

მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ ის, რასაც მსოფლიო ეკუმენისტი, ბართლომე მსოფლიო მართლმადიდებლობის სიკეთეს უწოდებს, სხვა არაფერია, თუ არა განმახლებლობა, ეკუმენიზმი, უნიატობა, პაპის პრიმატის გავრცელება ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებზე, მათ საშინაო საქმეებში ჩარევის ჩათვლით. მოკლედ რომ აღვნიშოთ, ეს არის მსოფლიო იუდეა-მასონობის სცენარის რეალიზების მცდელობა, რომლის მიზანია მართლმადიდებლობის დანაწევრება, დამცრობა და მსოფლიო ძალებისადმი დამორჩილება.

ბართლომე თვითმარქვიობს, როდესაც თავს ყველა ადგილობრივი ეკლესიის კოორდინატორს უწოდებს - ასეთი კანონიკური წესი მართლმადიდებლობამ არ იცის და აშკარად იგრძნობა პაპისტური აზროვნებისა და მოწყობის მართლმადიდებლობაში გადმოტანის სურვილი, სურვილი იმისა, რომ მოგვევლინოს მართლმადიდებელთა პაპის როლში, ეს იმ დროს, როდესაც თავად რომის პაპის ნება-სურვილს არის დამორჩილებული და იღწვის, პაპის ძალაუფლებას დაუქვემდებაროს მართლმადიდებლობა და ადგილობრივი ეკლესიები. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არავითარი მაკოორდინირებელი როლი და მისია არ აკისრია მსოფლიო მართლმადიდებლობაში. ისტორიულად კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო უპირატესი თანასწორთა შორის, ოღონდ ეს იმ ისტორიულ ეპოქაში, როდესაც თავად კონსტანტინოპოლი იყო მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრი. ამჟამად იმ კონსტანტინოპოლის დიდებიდან მხოლოდ ისტორიადა შემოგვრჩა და მსოფლიო პატრიარქის მცდელობა, ძველი დიდების ნანგრევებზე წამოიმართოს და მართლმადიდებელთა წინამძღოლისა და კოორდინატორის როლი მიითვისოს, მოკლებულია ყოველგვარ ეკლესიოლოგიურ საფუძველს და კანონიკურობას, მითუმეტეს, როდესაც იგი იღწვის არა მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად და ერთობის გასაძლიერებლად, არამედ ეკუმენისტურ-განმახლებლური რეფორმაციის გასატარებლად, რაც გამოიწვევს მსოფლიო

მართლმადიდებლობის წიაღში შფოთს, განხეთქილებებს, დანაწევრებას, დასუსტებასა და გარე ზეგავლენისადმი დამორჩილებას. რომელ კონსტანტინოპოლის დიდებაზეა საუბარი, როდესაც თურქული კანონმდებლობით კონსტანტინოპოლელ სასულიერო პირებს, მათ შორის მღვდელმთავრებს ეკრძალებათ და ქუჩაშიც კი არ შეუძლიათ შემისილებს გამოსვლა.

და თუკი მაინც კანონიური წესისა და ეკლესიოლოგიური საფუძვლების ძიებაზეა საუბარი, უპირველესად ის უნდა მოვიძიოთ და აღვნიშნოთ, რომ ეკლესიას მკაფოდ აქვს ნაწინასწარმეტყველები და ჩამოყალიბებული სწავლება მოსალოდნელ VIII მსოფლიო კრებასთან დაკავშირებით: ეკლესიამ ეს კრება უკვე შერაცხა როგორც განდგომილებისა და ავაზაკთა კრება, ანტიქრისტეს წინარე თავყრილობა. და თუკი ეს კრება ავაზაკთა კრებაა, მაშინ ვინ არიან ამ კრების აპოლოგეტები და მათ შორის მთავარი მოქმედი პირი, - ბართლომე? პასუხი თქვენთვის მოგვინდია.